

სოფიკო ლობჯანიძე

კვირის გეგმით მუშაობა

კვირის გეგმის ისტორიული ფესვები

გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლების დამლევს დასავლეთის სკოლებში დაიწყო კვირის გეგმით მუშაობის მეთოდის დანერგვა, ხოლო მის მასობრივ გამოყენებას მოგვიანებით, მე-20 საუკუნის ოთხმოციანი წლებიდან ჩაეყარა საფუძველი, მას შემდეგ, რაც სკოლის მასწავლებლებმა გააცნობიერეს, რომ კვირის გეგმა საუკეთესო მეთოდია, რომელიც მოსწავლეებს დამოუკიდებლად სწავლის შესაძლებლობას აძლევს და ისეთი მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაში ეხმარება, როგორებიცაა დაგეგმვა, მონიტორინგი/ანალიზი, შეფასება/თვითშეფასება.

კვირის გეგმის ისტორიული ფესვები რეფორმპედაგოგიურ მიმართულებას უკავშირდება. სელესტინ ფრეინემ განავითარა კონცეფცია „სამუშაო გეგმა“ - იგი კლასის საბჭოში ყოველი კვირის ბოლოს განიხილავდა მომავალი კვირის თემებსა და დავალებებს. კლასის საბჭოს მიერ დადგენილი კვირის სამუშაო პროგრამის მიხედვით დგებოდა კოლექტიური გეგმა - კლასის სამუშაო გეგმა, ამ უკანასკნელზე დაყრდნობით კი ყოველი მოსწავლე კვირის დასაწყისში წარმოადგენდა კვირის ინდივიდუალურ გეგმას, რომელსაც ან დამოუკიდებლად, ან მასწავლებლის დახმარებით ადგენდა.

ამერიკელმა სოფლის მასწავლებელმა ჰელენ პარკჰურსტმა, მას შემდეგ, რაც მარია მონტესორის დაემოწავა, წამოიწყო სხვადასხვა ასაკის მოსწავლეებთან მუშაობა მათი ინდივიდუალური ნიჭისა და შესაძლებლობების, მიდრეკილებებისა და რიტმის გათვალისწინებით. იგი მასალით ამარაგებდა მათ და აძლევდა მითითებებს, როგორ გამოეყენებინათ ის. ამ მასალისა და მითითებების გათვალისწინებით თითოეულ მოსწავლეს უნდა შეეძინა ინდივიდუალური ერთკვირიანი სასწავლო გეგმა, რომელსაც მასწავლებელს წარუდგენდა. ეს იყო ერთგვარი კონტრაქტი (Daltoplan), რომელიც იდებოდა მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის და რომლის შესრულებაზეც მოსწავლე აგებდა პასუხს.

რა არის კვირის გეგმის მეთოდი?

კვირის გეგმით მუშაობა ტრადიციული ფრონტალური გაკვეთილის ალტერნატივაა. მისი მეშვეობით მასწავლებელზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი მოსწავლეზე ორიენტირებული იცვლება, რაც მოსწავლეს დამოუკიდებლად სწავლის საშუალებას აძლევს. ამ მეთოდით მუშაობის დროს მოსწავლეები ეცნობიან ერთ თემაზე, საგანში თუ საგნებში დასამუშავებელ დავალებებს, რომლებიც დროის განსაზღვრულ მონაკვეთში (მაგ., ერთი კვირის განმავლობაში) უნდა შესრულდეს. მამასადამე, კვირის გეგმით მუშაობა შესაძლებელია როგორც ცალკეულ საგნებში, ასევე რამდენიმე საგანში ერთდროულად. კვირის გეგმით სავალდებულოსთან ერთად შეიძლება არჩევითი დავალებების შეთავაზებაც, რომელთა შესრულება მოსწავლეებს საკუთარი სურვილისა და ინტერესებისამებრ შეეძლებათ. წინასწარ განსაზღვრულ სასწავლო დროში მათ საშუალება ეძლევათ, ინდივიდუალურად, წყვილად ან ჯგუფურად დაამუშაონ ეს გეგმა, თავად განსაზღვრონ, როდის და რა თანამიმდევრობით შეასრულებენ თითოეულ დავალებას და რამდენ ხანს

მოდომებენ ამას. მაშასადამე, მოსწავლეები კლასის საერთო კვირის გეგმაზე დაყრდნობით ადგენენ ინდივიდუალურ კვირის გეგმას, რომელშიც მასწავლებლის ჩარევა მინიმუმამდე იქნება დაყვანილი.

კვირის გეგმაზე მუშაობისას მოსწავლეებს უვითარდებათ ისეთი მნიშვნელოვანი მეტაკოგნიტური უნარები, როგორებიცაა:

. **სამუშაოს დაგეგმვისა და გადანაწილების უნარი**, რაც მოსწავლისგან მოითხოვს იმის გაცნობიერებასა და გადაწყვეტას, რამდენი ხანი დასჭირდება თითოეული დავალების შესასრულებლად, რომელი დავალებით დაიწყო, სწავლის რა სტრატეგიები გამოიყენოს უკეთესი შედეგის მისაღებად, არჩევითი დავალებებიდან რომელია მისთვის ყველაზე მიზნიდველი. მოსწავლემ შესაძლოა საკუთარ თავს ჰკითხო: “რაც უკვე ვიცი, იქიდან რა შემიძლია გამოვიყენო პრობლემის გადასაჭრელად?”, “რა ამოცანები დგას ჩემ წინაშე და როგორ შეიძლება მათი გადაწყვეტა?”, “რით დავიწყო, რა არის პრიორიტეტული?” - და ა.შ.

. **მონიტორინგის/ანალიზის უნარი**. მას შემდეგ, რაც ინდივიდუალურად ან ჯგუფურად შეადგენენ საკუთარ კვირის გეგმას, მოსწავლეები მის განხორციელებას იწყებენ. ამ დროს მათ უნდა გააცნობიერონ: როგორ ართმევენ თავს დავალებას; სწორ გზაზე დგანან თუ არა; იყენებენ თუ არა შესაბამის ინფორმაციასა და რესურსებს; რა უნდა შეცვალონ უკეთესი შედეგის მისაღებად.

. **შეფასების/თვითშეფასების უნარი**. ეს უკანასკნელი გულისხმობს განსჯას სწავლისა და ფიქრის პროცესებისა და შედეგების შესახებ. ამოცანის დასრულების შემდეგ მოსწავლემ შეიძლება ჰკითხო საკუთარ თავს: “რამდენად სწორად დავგეგმე და გადავჭერი ამოცანა?”, “მივაღწიე თუ არა დასახულ მიზანს?”, “მოითხოვს თუ არა ჩემი მუშაობა კორექციას?”

გარდა ამისა, კვირის გეგმის მეთოდი მოსწავლეებს უვითარებს ისეთ მნიშვნელოვან კომპეტენციებს, როგორებიცაა დამოუკიდებლად და/ან ჯგუფურად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება და ამ გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებლობა.

ამ მეთოდით მუშაობის დროს მასწავლებელი უნდა ეცადოს, კვირის გეგმა არ იქცეს ინსტრუმენტად, რომლითაც იგი მოსწავლეებს უდირიჟორებს. მასწავლებლის მიერ შემუშავებული გეგმა აუცილებლად უნდა განავითარონ მოსწავლეებმა ინდივიდუალურად ან ჯგუფურად და მოარგონ საკუთარ შესაძლებლობებსა და ინტერესებს. ამით მათ არჩევანის საშუალება ეძლევათ, რაც ზრდის მათ შინაგან მოტივაციას და სასწავლო პროცესს უფრო სახალისოს ხდის.

როგორ დავიწყოთ კვირის გეგმით მუშაობა?

იმისთვის, რომ მოსწავლეები ამ მეთოდით მუშაობას შეეჩვიონ, სასურველია, მასწავლებელმა თავდაპირველად მათთან ერთად დაგეგმოს ყოველი დღე, რაც თანდათან კვირის გეგმად განვითარდება.

კვირის გეგმის ფორმები

განასხვავებენ კვირის გეგმის რამდენიმე ფორმას. ერთ-ერთი მათგანია **დახურული** კვირის გეგმა, რომელსაც მასწავლებელი ერთპიროვნულად ადგენს. მის ხელთ არის დავალებების ფორმულირება, სოციალური ფორმების ორგანიზება და სამუშაო რესურსების შერჩევა. ასეთი მიდგომა გამოიყენება კვირის გეგმით მუშაობის საწყის ეტაპზე, როდესაც მოსწავლეს ჯერ კიდევ არ გააჩნია ამ მეთოდით მუშაობის გამოცდილება და მეტი ხელმძღვანელობა სჭირდება, ხოლო როდესაც მოსწავლეებს გამოუმუშავდებათ ამ მეთოდით მუშაობის ელემენტარული უნარები, დახურული კვირის გეგმები განვითარდება ე.წ. **ღია** კვირის გეგმებად - მასწავლებელი და მოსწავლეები ერთად შეიმუშავებენ გეგმის სტრუქტურას, ერთობლივად ახდენენ დავალებების ფორმულირებას, არჩევენ სოციალურ ფორმებსა და სასწავლო რესურსებს.

როგორც ითქვა, მასწავლებელმა მოსწავლეებთან კვირის გეგმით მუშაობა შეიძლება წარმართოს როგორც ერთი, ისე რამდენიმე საგნის ფარგლებში. ისეთი კვირის გეგმის განსახორციელებლად, რომელიც სხვადასხვა საგანს მოიცავს, საჭიროა, პედაგოგი რამდენიმე საგანს ასწავლიდეს კლასს, ანდა მჭიდროდ თანამშრომლობდეს სხვა საგნების მასწავლებლებთან, რომლებიც შეთანხმებულად უდგენენ და სთავაზობენ მოსწავლეებს კვირის სამუშაო გეგმას. საგანთა მომცველი კვირის გეგმით მასწავლებლები მეტწილად დაწყებით საფეხურზე მუშაობენ. ასეთი გეგმით მუშაობა მოსწავლეს დიდ არჩევანს აძლევს. მას შეუძლია თვალი გადაავლოს ერთობლივად შემუშავებულ გეგმას და განავითაროს საკუთარი სტრატეგია: გამოყოს თავისთვის პრიორიტეტული საგნები, თემები, საკითხები, რომლებითაც ურჩევნია მუშაობის დაწყება, დაფიქრდეს, განსაზღვროს და გონივრულად გაანაწილოს დრო, რომელიც თითოეული დავალების შესასრულებლად დასჭირდება. ამას წინ უნდა უძღვოდეს საკუთარი სწავლის პროცესის დამოუკიდებელი მართვის გამოცდილება. თუ მოსწავლეს ის ჯერ კიდევ არ გააჩნია, მასწავლებლები ფრთხილად, მოზომილად უნდა დაეხმარონ მას, ისე, რომ გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების საშუალება არ წაართვან.

მოსწავლეები სწავლობენ სხვადასხვა ტემპით და აქვთ განსხვავებული შესაძლებლობები და ინტერესები, ამიტომ ტრადიციული, ფრონტალური გაკვეთილი ვერ უპასუხებს მათ დაკვეთას, კვირის გეგმით მუშაობა კი, პირიქით, ქმნის თავისუფალ სივრცეს მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების გასათვალისწინებლად, რითაც სწავლის ეფექტურობას ამაღლებს, რადგან:

- . სწავლა მოსწავლეთა ხელშია,
- . ყველას შეუძლია, თავისი სამუშაო ტემპი თავად განსაზღვროს;
- . ყველას შეუძლია, თავად განსაზღვროს, როდის რა სამუშაო შეასრულოს და რამდენი ხანი დაუთმოს მას;
- . შეუძლია, ალტერნატიული დავალებებიდან თავად აირჩიოს თავისთვის ყველაზე მეტად მისაღები საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებით;
- . “სწრაფ” მოსწავლეებს აღარ უხდებათ “ნელი” მოსწავლეების ლოდინი, რადგან ყველა საკუთარ ტემპს და სწავლის რიტმს მისდევს;

. სწავლა ინდივიდუალიზებული ხდება, რაც იმას ნიშნავს, რომ სწავლის პროცესი იგეგმება, წარმართება, ანალიზდება და კონტროლდება თავად მოსწავლეთა მიერ.

მაშასადამე, კვირის გეგმით სწავლისას მოსწავლეები მხოლოდ საგნობრივ ცოდნას კი არ ეუფლებიან და იღრმავებენ, არამედ ნაბიჯ-ნაბიჯ იძენენ უამრავ სხვა კომპეტენციას. მაგალითად, კვირის გეგმით მუშაობა მოსწავლეებს გამოუმუშავებს თანამშრომლობით უნარებს, პასუხისმგებლობის გრძნობას და მზადყოფნას, პრობლემები და დავალებები დამოუკიდებლად, მიზნობრივად დაამუშაონ და მიღწეული შედეგები შეაფასონ. ისინი გამოიმუშავებენ ისეთ უნარებსაც, როგორებიცაა სამუშაოს ორგანიზება, დროის რაციონალური განაწილება და გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება.

მასწავლებლისა და მოსწავლის როლები კვირის გეგმით მუშაობისას

კვირის გეგმით მუშაობისთვის მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება მასწავლებლის საქმეა: მან უნდა შეარჩიოს თემები, მოახდინოს დავალებათა ფორმულირება, რაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს გეგმის ხარისხს.

კვირის გეგმით მუშაობისას მასწავლებელი ასრულებს მრჩევლის, ფასილიტატორის როლს. მთავარი პასუხისმგებლობა კვირის გეგმის შესრულებაზე მოსწავლეს ეკისრება. მასწავლებელი აკვირდება პროცესს და თითოეულ მოსწავლეს რეკომენდაციებს აძლევს.

მოსწავლეები მაქსიმალურად უნდა იყვნენ ჩართულნი დაგეგმვის პროცესში. კვირის გეგმის განხილვა უნდა მოხდეს კლასში. ამგვარად მოსწავლეები უბრალო შემსრულებლების როლში კი არ გამოდიან, არამედ კვირის გეგმის შემოქმედნი ხდებიან, რაც ზრდის სასწავლო პროცესში მათი ჩართულობის ხარისხს.

თითოეულმა მოსწავლემ საერთოზე დაყრდნობით უნდა განავითაროს საკუთარი, ინდივიდუალური კვირის გეგმა. გეგმის შედგენისას მან უნდა განსაზღვროს საკუთარი შესაძლებლობები, ინტერესები, მუშაობის ტემპი, გამოყოს პრიორიტეტები, ეს კი მას თვითშეფასების უნარს განუვითარებს.

კვირის გეგმაში გათვალისწინებული უნდა იყოს არა მარტო სავალდებულო, არამედ არჩევითი თემები/საკითხები/დავალებებიც, რომლებსაც თითოეული მოსწავლე საკუთარი ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით აირჩევს. ეს გაზრდის მათ პასუხისმგებლობას საკუთარი გადაწყვეტილების წარმატებით შესრულებაზე.

მოსწავლეებმა ინდივიდუალურად უნდა გააანალიზონ კვირის გეგმა. ეს მათ საშუალებას მისცემთ, გამოკვეთონ პრობლემები და სირთულეები და დასახონ მათი დაძლევის გზები, რაც მათ თვითრეგულაციის უნარს გამოუმუშავებს.

საკუთარი სწავლის პროცესის მონიტორინგი მოსწავლეს იმის შეფასებაში ეხმარება, როდის იღებს უკეთეს შედეგს - როცა კვირის გეგმას მისდევს თუ ამ მეთოდის გარეშე მუშაობისას. როდესაც მოსწავლე დაინახავს, რომ კვირის გეგმით მუშაობამ უკეთესი შედეგი გამოიღო, გაუჩნდება ამ მეთოდით მუშაობის მოტივაცია.

გთავაზობთ კვირის გეგმის რამდენიმე ნიმუშს:

კვირის გეგმა ბუნებისმეტყველებაში (მეხუთე კლასი)			
<p>თემა: კვებითი ჯაჭვები შესრულების ვადა: -დან -მდე სახელი, გვარი -----</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მოცემულ დავალებას ვამუშავებ ინდივიდუალურად. ○ მოცემულ დავალებას ვამუშავებ წყვილში/ჯგუფურად (მიუთითე, ვისთან ერთად) ----- <p>-----</p> <p><i>მომდევნო ერთი კვირის განმავლობაში უნდა დაამუშაო თემა „კვებითი ჯაჭვები“. ცხრილში მოცემულია როგორც სავალდებულო, ასევე არჩევითი დავალებები. ოთხი არჩევითი დავალებიდან უნდა აირჩიო ორი. ასევე შენი არჩევანია, მარტო შეასრულებ ამ დავალებას თუ თანაკლასელთან/თანაკლასელებთან ერთად. შესასრულებელი დავალებებიც თავად გაანაწილე დროში. ძირითად ლიტერატურად გამოიყენე სახელმძღვანელოს მეშვიდე თავი და ჩემ მიერ მოწოდებული სამუშაო ფურცლები. კარგი იქნება, თუ თავადაც მოიპოვებ დამატებით ინფორმაციას საკითხის შესახებ ინტერნეტსა თუ სხვა წყაროებში. დათქმულ დღეს შენ მიერ შესრულებული სამუშაო კლასს უნდა წარუდგინო.</i></p>			
სავალდებულო დავალებები	უკვე შევასრულე	რა სირთულეებს წავაწყდი	რა დამეხმარა ამ სირთულეების გადალახვაში
1. მიუთითე, რომელი რით იკვებება 113-ე გვერდზე გამოსახული ცხოველებიდან.			
2. გააკეთე სურათზე აღბეჭდილი ცხოველების კლასიფიკაცია კვების ტიპების მიხედვით.			
3. ახსენი, რატომ აქვთ ნაირმჭამელებს ერთსა და იმავე დროს ბალახისმჭამელისა და ხორცისმჭამელის მსგავსი კბილები.			
4. 115-ე გვერდზე მოცემული სურათის მიხედვით ერთ გარემოში მცხოვრები ორგანიზმებისთვის შექმენი რამდენიმე			

კვებითი ჯაჭვი.			
5. ლექს „თხა და ვენახის“ მიხედვით შექმენი კვებითი ჯაჭვის მოდელი.			
6. პირველ სამუშაო ფურცელზე მოცემული სურათების მიხედვით შექმენი ორი კვებითი ჯაჭვი.			
7. მეორე სამუშაო ფურცელზე მოცემული სურათის მიხედვით იმსჯელე, როგორ უცვლის ადამიანი საკვებს პირვანდელ სახეს.			
არჩევითი დავალებები			
შეადგინე კროსვორდი კვებით ჯაჭვებზე.			
დაამუშავე პროექტი: „ადამიანი კვებით ჯაჭვში“			
დაწერე ესე „ბუნებრივი პირობების გავლენა კვებით ჯაჭვებსა და კვების რაციონზე“			
მესამე სამუშაო ფურცელზე წარმოდგენილი მწარმოებლებისა და მომხმარებლებისგან შეადგინე კვებითი ჯაჭვი და ახსენი შენი გადაწყვეტილება.			

თემა: კითხვის კვირეული (მეოთხე კლასი)

სახელი, გვარი -----

კვირა -დან -მდე	უკვე წავიკითხე (ავტორი და სათაური)	ჩემი შთაბეჭდილებები	ხელმოწერა
შაბათ-კვირა			
ორშაბათი			
სამშაბათი			
ოთხშაბათი			
ხუთშაბათი			

პარასკევი			
-----------	--	--	--